

12. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის თაობაზე

აფხაზეთის სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას იძლევა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფართოდ განვითარდეს საგარეო-ეკონომიკური კავშირები.

შეიქმნა საგარეო-ეკონომიკური და რესპუბლიკათაშორისი კავშირების სახელმწიფო კომიტეტი, ფუნქციონირებენ ერთობლივი მეწარმეობის სხვადასხვა სახეობები. წყდება სოხუმიდან რიგ უცხოეთის ქვეყანაში აეროფლოტის რეისების გახსნის საკითხი, მზადდება ოჩამჩირის რაიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

სანაპირო ვაჭრობის ფართოდ განვითარების, საზღვარგარეთული ტურიზმის და საგარეო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარების მიზნით აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახური.
2. შეთანხმდეს აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟოს სტრუქტურის, შტატების, საქმიანობის საკითხები სსრკ საბაჟო კომიტეტთან.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა

ქალ. სოხუმი, 27 სექტემბერი 1991 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივი. საკუთარი თარგმანი)